

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კიბერდანაშაულის კონვენციასთან შესაბამისობის საკითხისათვის

მაია ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატია ეძღვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობის საკითხს ევროპის საბჭოს მიერ 2001 წლის 23 ნოემბერს ბუდაპეშტში მიღებულ კონვენციასთან კომპიუტერული დანაშაულების შესახებ. კონვენცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებას იმ დანაშაულთა შესახებ, რომელთა ჩადენა ხდება ინტერნეტისა და სხვა კომპიუტერული ქსელების საშუალებით. მისი მთავარი მიზანია საერთო სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის და სამართლებრივი სტანდარტების შემუშავება, რომელიც დაიცავს მსოფლიო საზოგადოებას კომპიუტერული დანაშაულებისაგან შიდა საკანონმდებლო ღონისძიებების გატარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზით.

ავტორი ხაზს უსვამს თემის აქტუალობას და კონვენციის ფართო მნიშვნელობას, აანალიზებს მატერიალური სისხლის სამართლის კონვენციისეულ დებულებებს და აყენებს კონვენციასთან შესაბამისობის მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხს.

საკვანძო სიტყვები: ევროპის საბჭო, კონვენცია, კომპიუტერული დანაშაული, კომპიუტერული სამართალი.

თანამედროვე საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია მთლიანად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და მისი ყველაზე მკაფიოდ გამოხატული ნაწილის - ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა. საინფორმაციო სფეროს განვითარება და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხდება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტული ამოცანა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ განვითარების ტემპების და სოციალურ-ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის, სამეცნიერო-ტექნიკურ რეგულაციაში შეტანილი წვლილის და საზოგადოების ინტელექტუალიზაციაში პოზიტიური ცვლილებების მიხედვით მრეწველობის მიკროელექტრონულ და კომპიუტერულ დარგებს, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნის საინფორმაციო სივრცის განვითარების ბაზას შეადგენს, ანალოგი არ გააჩნიათ.

ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის გამოყენების გაფართოებამ დაბადა არა მარტო ტექნიკური, არამედ სამართლებრივი პრობლემებიც. საზოგადოების კომპიუტერიზაციის სერიოზულ ნეგატიურ შედეგს წარმოადგენს ეგრეთწოდებული “კომპიუტერული დანაშაულები” ანუ დანაშაულები, რომელთა ჩადენა ხდება ინტერნეტისა და სხვა კომპიუტერული ქსელების საშუალებით.

ზემოაღნიშნული მოვლენები იწვევს მსოფლიო საზოგადოების სამართლიან შემფოთებას და იგი ეძებს გზებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების თანმხლები უარყოფითი მოვლენების რეგულირებისათვის. რეგულირებაში სხვასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სამართლებრივი

რეგულირება ანუ შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო ბაზისის შექმნა. საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირებისათვის ინტენსიურად მუშაობენ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა გაერო (მისი ეგიდით რეგულარულად ტარდება კიბერდანაშაულის პროფილაქტიკისა და აღკვეთისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმები), ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია...

ევროპის საბჭოს მოღვაწეობა ამ მხრივ გამოიხატება ევროპული კონვენციების და სხვა ფორმის (დირექტივები, რეკომენდაციები) საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტების მომზადებასა და მიღებაში. ეს დოკუმენტები ქმნიან სამართლებრივ სტანდარტებს ხელმომწერი მხარეებისთვის, ერთი მხრივ, საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის ამ დოკუმენტებთან მიმართებაში.

პირველი ასეთი ევროპული კონვენცია - კონვენცია პიროვნების დაცვის შესახებ პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებულ დამუშავებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 1981 წელს. იგი ადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებული დამუშავებისას.

2001 წლის 8 ნოემბერს 109-ე სესიაზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა **ევროპული კონვენცია კომპიუტერული დანაშაულის ანუ, როგორც მას დედანში ეწოდება, კიბერდანაშაულის შესახებ**. კონვენცია გახსნილ იქნა ხელმოსაწერად 2001 წლის 23 ნოემბერს ბუდაპეშტში კიბერდანაშაულისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე. მას ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს წევრმა 30 სახელმწიფომ. ევროპის საბჭოს განზრახული აქვს კონვენციისთვის დამატებითი ოქმის დართვა, რომელიც ინტერნეტში რასისტულ და ქსენოფობიურ პროგაგანდას მიეძღვნება.

კონვენციის მიღებას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები. ჩივი შედეგია არა მარტივად ევროპის საბჭოს, არამედ აშშ-ის, კანადის, იაპონიის და ამ ორგანიზაციის სხვა არაწევრი ქვეყნების ექსპერტების ოთხწლიანი მუშაობისა და შეიქმნა როგორც ლოგიკური გაგრძელება ევროპის საბჭოს კონვენციებისა სისხლის სამართლის სფეროში და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ შემუშავებული შემდეგი რეკომენდაციებისა: № R (85) 10 სისხლის სამართლებრივ საკითხებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის პრაქტიკული გამოყენების თაობაზე ტელეკომუნიკაციების ხელში ჩაგდების საწინააღმდეგო სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, № R (88) 2 საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მეკობრეობის შესახებ; № R (85) 10, რომელიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების გამოყენებას პოლიციის სექტორში, № R (95) 4 პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ტელეკომუნიკაციური მომსახურების, კერძოდ, სატელეფონო მომსახურების სფეროში; № R (89) 9, კომპიუტერული დანაშაულების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ დირექტივებს ეროვნული კანონმდებლობისათვის და განმარტავენ ზოგიერთ კომპიუტერულ დანაშაულს და № R (95) 13, რომელიც შეეხება საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

კონვენციის ძირითადი დებულებების განხილვამდე გვინდა ორიოდ სიტყვა ვთქვათ კომპიუტერული ანუ ე.წ. კიბერდანაშაულის შესახებ. ტერმინი “კიბერდანაშაული” (*ინგლისურად - Cybercrime*) საზღვარგარეთულ პუბლიკაციებში პირველად გამოჩნდა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც პირველად იქნა გამოვლენილი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები.

ჩვენ არ შევუდგებით კიბერდანაშაულის სისხლის-სამართლებრივ და კრიმინალისტურ დახასიათებას, რადგან იგი უკვე განხილულია ქართულ სამეცნიერო შრომებში (იხ. ალ. კაცმანის სტატიები: “კომპიუტერული დანაშაულთა ჩადენის ხერხები”, ჟურნალი “სამართალი” №1 2000წ.; “კომპიუტერულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი და კრიმინალისტური დახასიათება”, ჟურნალი “სამართალი” №№2,3 2000წ.) მხოლოდ მოვიყვანთ მის განმარტებას და განვითარების ტენდენციებს.

კომპიუტერული დანაშაული არის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომლის ჩადენაც ხდება კომპიუტერული ტექნიკის საშუალებების გამოყენებით. კომპიუტერული დანაშაულების ყველაზე ცნობილი კლასიფიკაცია მოგვცა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა. ამ კლასიფიკაციის თანახმად გამოიყოფა კომპიუტერული დანაშაულების შემდეგი კრიმინოლოგიური ჯგუფები:

- ეკონომიკური დანაშაულები;
- დანაშაულები პირადი უფლებების და კერძო სფეროს წინააღმდეგ;
- დანაშაულები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების წინააღმდეგ.

უახლოეს და მომდევნო წლებში მოსალოდნელია კომპიუტერული დანაშაულების მკვეთრი ზრდა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ამასთან საზღვარგარეთელი კრიმინოლოგების (პროფ. ჟ. სნიფენსი, აშშ) აზრით, კომპიუტერული დანაშაულები მომავალში გახდებიან მთელს მსოფლიოში დანაშაულების გენერატორები. ნარკოტიკები, პროსტიტუცია, ძალადობა, რა თქმა უნდა, კვლავ იარსებებს, მაგრამ დამნაშავეთა უმრავლესობა სხვა სფეროებიდან ორიენტაციას აიღებს კომპიუტერულზე. მოსალოდნელია აგრეთვე ორგანიზებული კომპიუტერული დამნაშავეობის განვითარებაც. ამასთან დაკავშირებით მეტად დროულად და აქტუალურად მიგვაჩნია კომპიუტერული დანაშაულის შესახებ ევროპული კონვენციის მიღება.

კონვენცია შედგება ოთხი თავისაგან: **1. ტერმინთა გამოყენება; 2. ეროვნულ დონეზე გასატარებელი ღონისძიებანი; 3. საერთაშორისო თანამშრომლობა; 4. დასკვნითი დებულებანი.**

შევეცდებით მეტი ყურადღება დავუთმოთ კონვენციის მე-2 თავს, რადგან იგი უფრო მნიშვნელოვანია კომპიუტერულ დანაშაულთან მიმართებაში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისით.

კონვენციის დებულებების უკეთ გაგების მიზნით სხვა ტერმინებთან ერთად იგი განმარტავს ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა “კომპიუტერული სისტემა” და “კომპიუტერული მონაცემები”.

“კონვენციის მიზნებისათვის

ა “**კომპიუტერული სისტემა**” ნიშნავს ნებისმიერ მოწყობილობას ან ურთიერთდაკავშირებულ ან ერთგვაროვან მოწყობილობათა ერთობლიობას, რომელთაგან ერთი ან მეტი ახდენს მონაცემების ავტომატურ დამუშავებას პროგრამის შესაბამისად;

ბ “**კომპიუტერული მონაცემები**” ნიშნავს ფაქტების, ინფორმაციის ან ცნებების წარმოდგენას კომპიუტერულ სისტემაში დასამუშავებლად მოსახერხებელი ფორმით ამ ფუნქციის შემსრულებელი შესაბამისი პროგრამის ჩათვლით.” (მუხლი 1).

აღნიშნული ტერმინების განმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მთლიანად კონვენციის შინაარსის, ასევე მისი იმ დებულებების სწორად გაგებისათვის, რომელთაც ეძღვნება სტატია, რადგან იგი მოითხოვს სპეციალურ ცოდნას

კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროდან და მნიშვნელოვანწილად წაადგება შესაბამისი დარგის კანონმდებლებს.

კონვენციის პირველი თავი, რომელიც ეროვნულ დონეზე გასატარებელ ღონისძიებებს ეხება, თავის მხრივ იყოფა ორ ნაწილად. პირველი მათგანი ეძღვნება მატერიალურ სისხლის სამართალდარღვევებზე საკითხებს, ხოლო მეორე - პროცესუალურ საკანონმდებლო ღონისძიებებს. სტატიაში შევეხებით მხოლოდ კონვენციისეულ მატერიალურ სისხლის სამართლის საკითხებს და მათთან მიმართებაში ეროვნულ დონეზე გასატარებელ ღონისძიებებს.

კონვენციის 2-5 მუხლები განმარტავს დანაშაულის იმ სახეებს, რომლებიც მიმართულია **კომპიუტერული მონაცემებისა და სისტემების კონფიდენციალობის, მთლიანობისა და მათში შეღწევადობის წინააღმდეგ.**

კონვენცია ავალებს ხელმომწერ მხარეებს მიიღონ ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რაც აუცილებელია საშინაო კანონის მიერ ისეთი ქმედებების სისხლის სამართლის სამართალდარღვევად - დანაშაულად აღიარებისათვის, რომელიც ჩადენილია განზრახ და გამოიხატება: 1) კომპიუტერულ სისტემაში ამ მის რომელიმე ნაწილში უნებართვოდ შეღწევაში; 2) კომპიუტერული მონაცემების უნებართვოდ ხელში ჩაგდებასა და არაოფიციალურ გადაცემაში, 3) კომპიუტერული მონაცემების უნებართვო დაზიანებაში, წაშლაში, გაფუჭებასა, შეცვლასა ან დამალვაში, 4) კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებაში უნებართვო სერიოზულ ჩარევაში კომპიუტერული მონაცემების შეყვანის, გადაცემის, დაზიანების, წაშლის, გაფუჭების, შეცვლის ან დამალვის გზით; 5) კონვენცია დანაშაულის კვალიფიკაციას აძლევს უნებართვო წარმოებას, გაყიდვას, შესყიდვას, გამოყენებისათვის ხელშეწყობას, იმპორტს, საბითუმო გაყიდვას, და გამოყენებისათვის ხელშეწყობის სხვა ფორმებს ისეთი კომპიუტერული პროგრამის შემცველი მოწყობილობისა, რომელიც თავიდანვე შექმნილია დანაშაულის ჩასადენად, აგრეთვე კომპიუტერული პაროლის, შეღწევის კოდის ან სხვა მონაცემებისა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია კომპიუტერულ სისტემაში ან მის რომელიმე ნაწილში შეღწევა იმ მიზნით, რომ ის გამოყენებული იქნას ზემოთ განმარტებული რომელიმე დანაშაულის ჩასადენად. აკრძალულია აგრეთვე ასეთი მოწყობილობების და მონაცემების (პაროლის, შეღწევის კოდის) ფლობა აღნიშნული კომპიუტერული დანაშაულების ჩადენის მიზნით. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის შემთხვევები, როცა ასეთი ქმედებები ხორციელდება არა დანაშაულის ჩადენის, არამედ კომპიუტერული სისტემის ტესტირების ან დაცვის მიზნით.

კომპიუტერთან დაკავშირებული დანაშაულების ნაწილში (მუხლები 7-8) დანაშაულადაა აღიარებული: 1) კომპიუტერული ყალბისმქმნელობა; 2) კომპიუტერული თაღლითობა.

მუხლი 7-ის მიხედვით კომპიუტერულ ყალბისმქმნელობად მიჩნეულია “კომპიუტერული მონაცემების უნებართვო შეტანა, შეცვლა, წაშლა ან დამალვა, რომელთაც შედეგად მოჰყვა არაავთენტუალური მონაცემების გაჩენა იმ მიზნით, რომ ისინი განხილულ იქნენ როგორც ავთენტუალური ან მათზე იმოქმედონ იურიდიული მიზნებით ისე, თითქოს ისინი ავთენტუალური იყოს, მიუხედავად იმისა, მონაცემები უშუალოდ კითხვადი და გასაგებია თუ არა”.

რაც შეეხება კომპიუტერულ თაღლითობას (მუხლი 8), კონვენცია განმარტავს მას, როგორც სისხლის სამართლის სამართალდარღვევას, რომელიც “ჩადენილია განზრახ და უნებართვოდ და გამოიხატება სხვა პიროვნების საკუთრების (მფლობელობის) უფლების დაკარგვაში, რომლის მიზნითაც გახდა:

ა კომპიუტერული მონაცემების შეტანა, შეცვლა, წაშლა ან დამალვა;
 ბ კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების რაიმე ხელშეშლა,
 მოტყუებითი ან უპატიოსნო მიზნით იმის მისაღწევად, რომ უნებართვოდ გაეწიოს ეკონომიკური დახმარება ვინმეს მეორე პიროვნების მიერ”.

კონვენცია ყურადღებას უთმობს **მომიჯნავე დანაშაულებს**. კერძოდ, ასეთად იგი მიიჩნევს საბავშვო პორნოგრაფიასთან დაკავშირებულ დანაშაულებს (მუხლი 9) და ავალდებულებს ხელმომწერ მხარეებს მიიღონ ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რაც აუცილებელია უკანონოდ და განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებების საშინაო კანონის მიხედვით დანაშაულად აღიარებისათვის:

“ა საბავშვო პორნოგრაფიის წარმოება მისი გავრცელების მიზნით კომპიუტერული სისტემის საშუალებით;

ბ საბავშვო პორნოგრაფიის შეთავაზება ან ხელმისაწვდომად გახდომა კომპიუტერული სისტემის საშუალებით;

ც საბავშვო პორნოგრაფიის გავრცელება ან გადაცემა კომპიუტერული სისტემის საშუალებით;

დ საბავშვო პორნოგრაფიის მოპოვება მისი გავრცელების მიზნით კომპიუტერული სისტემის საშუალებით საკუთარი თავისთვის ან სხვა პიროვნებისათვის;

ე საბავშვო პორნოგრაფიის ქონა (დაფიქსირება) მისი გავრცელების მიზნით კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერული მონაცემების სხვა მატარებელზე.”

ამ მუხლის უკეთ გაგების მიზნით კონვენცია განმარტავს გამოყენებულ ტერმინებს “საბავშვო პორნოგრაფია” და “არასრულწლოვანი”.

განსაკუთრებით საინტერესოდ გვეჩვენება კონვენციის მე-10 მუხლი -“**საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული სამართალდარღვევები**.” ეხმიანება რა 1971 წლის 24 ივლისის პარიზის აქტს, რომლითაც გადასინჯული იქნა ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმებას, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საავტორო უფლების შესახებ შეთანხმებას და შემსრულებელთა და ფონოგრამებისა და მაუწყებლობის მწარმოებელთა დაცვის შესახებ რომის კონვენციას, კონვენცია კომპიუტერული დანაშაულის შესახებ აუცილებლად მიიჩნევს საშინაო კანონის მიხედვით საავტორო უფლების დარღვევის დანაშაულად აღიარებას, როცა ასეთი დარღვევა განხორციელებულია წინასწარგანზრახვით კომერციული მასშტაბით და კომპიუტერული სისტემის საშუალებით. ამასთან კონვენცია უფლებას აძლევს მხარეს, გააკეთოს დათქმა, რომლითაც იგი არ დაადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საავტორო უფლებების კომპიუტერული სისტემის საშუალებით დარღვევისათვის იმ პირობით, თუ გათვალისწინებული ექნება სხვა ეფექტური საშუალებები და თუ ასეთი დათქმა არ ეწინააღმდეგება მხარის საერთაშორისო ვალდებულებებს საავტორო უფლებების სფეროში.

კონვენციის მე-11 მუხლი აწესებს დამატებით პასუხისმგებლობას და სანქციებს მისი 2-10 მუხლებით განსაზღვრული დანაშაულების ჩადენის მცდელობის, წაქეზების ან დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

კონვენცია აყენებს საკითხს იურიდიული პირების კორპორაციული პასუხისმგებლობის დაწესებისათვის (მუხლი 12) კონვენციით დადგენილი დანაშაულებისათვის, რომლებიც ჩადენილია ამ იურიდიული პირების დასახმარებლად ფიზიკური პირის მიერ, როცა იგი მოქმედებს ინდივიდუალურად ან

როგორც იურიდიული პირის წამყვანი თანამდებობის პირი, და მისი მოქმედება ემყარება:

- ა იურიდიული პირის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას;
- ბ უფლებამოსილებას მიიღოს გადაწყვეტილება იურიდიული პირის სახელით;
- ც უფლებამოსილებას მართოს იურიდიული პირი.”

გარდა ამისა, იურიდიულ პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმაზე, რომ მოხსენიებულ ფიზიკურ პირებზე ზედამხედველობის ან კონტროლის არასაკმარისობის გამო იურიდიული პირისათვის სარგებლობის მოტანის მიზნით შესაძლებელი გახდა მის დაქვემდებარებაში მყოფი ფიზიკური პირის მიერ ამ კონვენციით დადგენილი დანაშაულის ჩადენა. აღსანიშნავია, რომ მხარის სამართლებრივი პრინციპების მიხედვით იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სისხლის-სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი. ამასთან იურიდიული პირის კორპორაციული პასუხისმგებლობა ექვეყვეშ არ უნდა აყენებდეს იმ ფიზიკური პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვინც ჩაიდინა დანაშაული.

კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ 2-11 მუხლებით განსაზღვრული დანაშაულები იყოს დასჯადი და დამნაშავეთათვის გამოიყენოს დასჯის ეფექტური, თანაზომადი სანქციები თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით, ხოლო იურიდიული პირები, რომლებიც პასუხს აგებენ მე-12 მუხლის შესაბამისად, დაექვემდებარონ ეფექტურ შესაბამის და დამარწმუნებელ სისხლისსამართლებრივ ან არა-სისხლისსამართლებრივ სანქციებს და ზომებს, ფულადი სანქციების ჩათვლით.

რამდენად შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსსკ) შესაბამისი ნორმები ევროპულ კონვენციას კომპიუტერული დანაშაულის შესახებ და რა უნდა გაკეთდეს მათი კონვენციის ნორმებთან შესაბამისობისათვის?

საქართველოს სსსკ-ის შესაბამისი ნორმების ანალიზი ამ კუთხით ცხადყოფს, რომ იგი არასაკმარისია, მოითხოვს სრულყოფას და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.

სსსკ-ის XXXV თავი ეთმობა **კომპიუტერულ დანაშაულს**. იგი მოიცავს სამ მუხლს, რომლებიც იძლევიან კომპიუტერული დანაშაულების კვალიფიკაციას და ადგენენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მათი ჩადენისათვის. ესენია: მუხლი 284 - **კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა**; მუხლი 285 - **ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება**; მუხლი 286 - **ეგმ-ის, ეგმ სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის წესის დარღვევა**. 2002 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა ასევე მუხლი 324' - **კიბერტერორიზმის სახელწოდებით**.

284-ე მუხლის -“კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა“- მიხედვით დანაშაულადაა მიჩნეული “კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციასთან, ესე იგი მანქანა-მატარებელზე (*იგულისხმება დისკეტა, CD-ROM-ავტ.*), ელექტრო-გამომთვლელ მანქანაზე (ეგმ-ზე), ეგმ-ის სისტემაში ან მათ ქსელში ასახულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა, რამაც ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება ანდა ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლა გამოიწვია”. აღნიშნული ქმედების ჩადენისათვის დადგენილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

285-ე მუხლი - “ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება” დანაშაულად მიიჩნევს ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნას ან

არსებულ პროგრამაში ცვლილების შეტანას, “რაც განზრახ იწვევს ინფორმაციის არასანქცონირებულ განადგურებას, ბლოკირებას, მოდიფიცირებას ან გადაღებას ანდა ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის მუშაობის მოშლას, აგრეთვე ასეთი პროგრამის ან ასეთი პროგრამის შემცველი მანქანა მატარებლის გამოყენებას ან გავრცელებას”. მუხლი აგრეთვე განსაზღვრავს სანქციას აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის.

რაც შეეხება 286-ე მუხლს - “ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის წესის დარღვევა”, იგი დანაშაულის კვალიფიკაციას აძლევს ეგმ-ის, ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის წესის დარღვევას, “იმის მიერ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ეგმ-ზე, ეგმ-ის სისტემაზე ან მათ ქსელზე, რამაც გამოიწვია კანონით დაცული ინფორმაციის განადგურება, ბლოკირება, მოდიფიცირება ან გადაღება ანდა რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია”.

თუ შევადარებთ ზემოთმოყვანილ მუხლებს კომპიუტერული დანაშაულის შესახებ კონვენციით დადგენილ დანაშაულებს, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ეხმიანებიან და ძირითადად შეესაბამებიან კონვენციით დადგენილ იმ დანაშაულებს, რომლებიც მიმართულია კომპიუტერული მონაცემებისა და სისტემების კონფიდენციალობის, მთლიანობის და მათში შეუღწევადობის წინააღმდეგ (მუხლები 2-6). ნათქვამი ეხება აგრეთვე 324'-ე მუხლს - **კიბერტერორიზმი**. ითქვას შენიშვნის სახით კი შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. მართებულად მიგვაჩნია კოდექსში გამოყენებული ტერმინის “ქსელის” უფრო ზუსტი განმარტება და მის ნაცვლად ლოკალური და გლობალური ქსელების (ინტერნეტის) ხმარება. საქმე ის არის, რომ კომპიუტერულ დანაშაულთა უმრავლესობის ჩადენა დღეისათვის უმეტესწილად გლობალურ ქსელში - ინტერნეტში ხდება. ინტერნეტი წარმოადგენს როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ტექნოლოგიას. ამ ტექნოლოგიების პარალელური განვითარება და შერწყმა ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის დამახასიათებელი ნიშანია. საზღვარგარეთულ სპეციალურ ლიტერატურაში “კომპიუტერულ დანაშაულებთან” ერთად “საკომუნიკაციო დანაშაულებსაც” მოიხსენიებენ. შესაძლებელია კანონმდებელი “ქსელში” ლოკალურ ქსელებთან ერთად კიდევაც გულისხმობდა გლობალურ ქსელს - ინტერნეტს, მაგრამ იგი ცალსახად არ არის აღნიშნული და ამიტომ მისი მოხსენიება აღნიშნულ კონტექსტში, ვფიქრობთ, უფრო მეტად გასაგებს გახდის აღნიშნული მუხლების შინაარსს და დაახლოვებს ეროვნულ და კონვენციულ მუხლებს.

2. 285-ე მუხლთან მიმართებაში, ვეყრდნობით რა კონვენციის მე-6 მუხლს “მოწყობილობების არასწორი გამოყენება” მიზანშეწონილად ვთვლით, რომ ეს მუხლი უფრო უნდა დაკონკრეტდეს და სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს არა მარტო ეგმ-ის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა ან არსებულ პროგრამაში ცვლილების შეტანა და აგრეთვე ასეთი პროგრამის ან ასეთი პროგრამის შემცველი მანქანა-მატარებლის გამოყენება ან გავრცელება, არამედ ასეთი მოწყობილობების წარმოება, გაყიდვა, გამოყენებისათვის ხელშეწყობა, იმპორტი, გავრცელება ან სხვაგვარად გამოსადეგად ქცევა. იგივე უნდა ითქვას კომპიუტერული პაროლის, შეღწევის კოდის და სხვა მონაცემების მიმართაც, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია კომპიუტერულ სისტემაში ან მის რაიმე ნაწილში შეღწევა. კონვენციის თანახმად დანაშაულად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ზემოხსენებული ელემენტების ფლობა იმ მიზნით, რომ ისინი გამოყენებული იქნას კომპიუტერული მონაცემებისა და სისტემების კონფიდენციალობის, მთლიანობის და მათში შეუღწევადობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩასადენად. აქვე მუხლი უნდა განმარტავდეს, რომ გამონაკლისია ის

შემთხვევები, როცა აღნიშნული ელემენტების გამოყენება მოხდება კომპიუტერული სისტემების ტესტირებისა და დაცვის მიზნით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით არ არის გათვალისწინებული ნორმები, რომლებიც კომპიუტერთან დაკავშირებულ ისეთ დანაშაულებს დაარეგულირებს, როგორებიცაა კომპიუტერული ყალბისმქმნელობა (**Computer-related forgery**) და კომპიუტერული თაღლითობა (**Computer-related fraud**) და რომელთა აღიარებას ეროვნულ დონეზე აუცილებლად მიიჩნევენ კონვენცია.

კომპიუტერულ ყალბისმქმნელობად კონვენცია მიიჩნევს დანაშაულს, რომელიც ჩადენილია განზრახ და გამოიხატება კომპიუტერული მანიპულაციების (მონაცემების უნებართვოდ შეტანა, შეცვლა, წაშლა ან დამავლა) გზით არაავთენტიკური მონაცემების გაჩენაში იმ მიზნით, რომ ისინი განხილულ იქნენ როგორც ავთენტიკური ან მათზე იმოქმედონ სამართლებრივი მიზნებით ისე, თითქოს ისინი ავტენტიკურია.

ამ მუხლის მიზანია აღიარებულ იქნას მატერიალური (არაელექტრონული) დოკუმენტების გაყალდების პარალელური დანაშაული და შეავსოს ის ხარვეზი, რომელიც ეროვნულ სისხლის სამართლის კანონმდებლობებში არსებობს ტრადიციულ სიყალბესთან მიმართებაში. იგულისხმება ელექტრონული მონაცემების სახით არსებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრუქტურათა თუ პირთა დოკუმენტები.

შესაბამისი მუხლის დამატება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მეტად აქტუალური საკითხია, ვინაიდან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მანიპულაციების სიადვილის გამო აღნიშნულმა მოვლენამ საქართველოშიც საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა გამომდინარე მძიმე შედეგებით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს მუხლი კომპიუტერული ყალბისმქმნელობის სახელწოდებით და დადგინდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის. ამასთან სახელმწიფომ კონვენციის შესაბამისად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლად შეიძლება მოითხოვოს მოტყუების განზრახვის ან მსგავსი უპატიოსნო განზრახვის არსებობა.

სსსკ თაღლითობად მიიჩნევენ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებას ან ქონებრივი უფლების მიღებას მოტყუებით და ადგენს ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას (სსსკ, მუხლი 180). კონვენციას კომპიუტერული დანაშაულის შესახებ შემოაქვს კომპიუტერული თაღლითობის ცნება და მოითხოვს მის აღიარებას ეროვნულ კანონმდებლობაში. კონვენციის მიხედვით კომპიუტერული თაღლითობა არის განზრახ ჩადენილი დანაშაული, რომელიც გამოიხატება სხვა პიროვნების საკუთრების (მფლობელობის) უფლების დაკარგვაში და რომლის მიზეზიც გახდა:

“ა კომპიუტერული მონაცემების შეტანა, შეცვლა, წაშლა ან დამალვა;

ბ კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების რაიმე ხელშეშლა,

მოტყუებითი ან უპატიოსნო მიზნით იმის მისაღწევად, რომ უნებართვოდ გაეწიოს ეკონომიკური დახმარება ვინმეს მეორე პიროვნების მიერ” (მუხლი 8).

კონვენციის ამ მუხლის გათვალისწინებით აუცილებლად მიგვაჩნია აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ, ეკონომიკური დანაშაულების კარში ტრადიციული თაღლითობის პარალელური კომპიუტერული თაღლითობის მუხლის დამატება. აღნიშნულის თქმის საფუძველს ისევე, როგორც კომპიუტერული ყალბისმქმნელობის შემთხვევაში, გვადლევს ის გარემოება, რომ ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ისეთი ეკონომიკური დანაშაულების ჩადენის მომრავლების

შესაძლებლობანი გააჩინა, როგორცაა სწორედ ელექტრონული თაღლითობა. მათ შორის შეიძლება დასახელდეს ბოლო დროს ყველაზე მეტად გავრცელებული საკრედიტო ბარათებით მანიპულირება. განსხვავებით ტრადიციული თაღლითობისაგან, ამ შემთხვევაში დამნაშავეთა სამიზნე ხდება სწორედ კომპიუტერულ სისტემებში წარმოდგენილი ანუ ელექტრონული სახით არსებული აქტივები (ელექტრონული ფონდები, დეპოზიტური ფული), რომელთა მისაკუთრება საკმაოდ იოლად ხდება კომპიუტერულ მონაცემებზე მანიპულაციით.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო ღონისძიებად, რომელიც უნდა გატარდეს ეროვნულ დონეზე კომპიუტერული დანაშაულის შესახებ კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით, მიგვაჩნია კონვენციის მიერ მომიჯნავე დანაშაულებად აღიარებული ისეთი დანაშაულების დადგენა და მათი ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განსაზღვრა, როგორცაა საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული სამართალდარღვევები.

ინტელექტუალურ-საკუთრებითი უფლებების, კერძოდ კი საავტორო უფლებების დარღვევა ყველაზე გავრცელებულია ინტერნეტში და წარმოადგენს ერთ-ერთ უმტკივნეულეს პრობლემას როგორც საავტორო უფლებების მფლობელთათვის, ასევე კომპიუტერული ქსელების მომსახურე პერსონალისათვის. დაცული ნაწარმოებების რეპროდუცირება და გავრცელება საავტორო უფლების მქონე პირთა ნებართვის გარეშე საკმაოდ ხშირია. ეს ეხება ლიტერატურულ, ფოტოგრაფიულ, მუსიკალურ, აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებებს, კომპიუტერულ პროგრამებსა და მონაცემთა ბაზებს და საავტორო უფლების სხვა ობიექტებს. ციფრული ტექნოლოგიის წყალობით დამკვიდრებულმა არასანქციონირებული ასლების შექმნის სიადვილემ და ელექტრონულ ქსელებში მათი რეპროდუცირებისა და გავრცელების მასშტაბმა დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობის და ეროვნული სამართლებრივი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა, მათ შორის სისხლისსამართლებრივი სანქციების დაწესების აუცილებლობა ამ კონტექსტში.

სსსკ-ის 189-ე მუხლით (“ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა”) გათვალისწინებულია სანქცია საავტორო და მომიჯნავე უფლებების ხელყოფისათვის. კერძოდ,

“1. საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის ავტორობის მითვისება, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. სხვისი საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის, გამოგონების, სასარგებლო მოდელის, სამრეწველო ნიმუშის, სასელექციო მიღწევის, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის მართლსაწინააღმდეგოდ, კომერციული მიზნით გამოყენება ან მის თანაავტორობაზე იძულება, - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.”

როგორც ვხედავთ, აღნიშნული მუხლი არაფერს ამბობს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევებზე ინტერნეტსა და სხვა კომპიუტერულ ქსელებში, რაც, ჩვენი აზრით, საკანონმდებლო ხარვეზია.

კონვენცია ავალდებულებს მხარეებს დააწესონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისათვის, როცა ასეთი ქმედებანი ჩადენილია წინასწარგანზრახულად კომერციული მასშტაბით და კომპიუტერული სისტემის საშუალებით (კონვენციის მე-10 მუხლი).

მხარეს უფლება აქვს გააკეთოს დათქმა, რომ არ დაადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ზემოაღნიშნული შემთხვევებისათვის გამონაკლის შემთხვევებში იმ პირობით, თუ გათვალისწინებული ექნება სხვა ეფექტური საშუალებები და თუ ასეთი დათქმა არ ეწინააღმდეგება მხარის საერთაშორისო ვალდებულებებს საავტორო უფლებების სფეროში.

ჩვენი აზრით, საქართველოს არ აქვს გათვალისწინებული სხვა ეფექტური საშუალებები და მისთვის აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი მუხლის შეტანა ინტერნეტში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ ან უკვე არსებული 189-ე მუხლის შესწორება.

ჩვენ შევეცადეთ ხაზი გაგვესვა იმ ნორმებისათვის, რომელთა დამატება სსსკ-ში შედარებით გადაუდებლად მიგვაჩნია, რაც შეეხება საბავშვო პორნოგრაფიას, რომელიც ინტერნეტის საშუალებით შეიძლება გავრცელდეს, რა თქმა უნდა, იმსახურებს სათანადო ყურადღებას, მაგრამ ნაკლები გავრცელებულობის გამო ამ ეტაპზე, ვფიქრობთ, იმდენად აქტუალური არ არის სსსკ-ში მასთან დაკავშირებული ნორმების შეტანა. გარდა ამისა, კონვენციის შესაბამისი მუხლი შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, გააკეთოს დათქმა, რომლის თანახმადაც არ გამოიყენებს კონვენციის აღნიშნულ მუხლს მთლიანად ან ნაწილობრივ.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით კი შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე სისხლის სამართლით არ არის გათვალისწინებული იურიდიული პირის პასუხისმგებლობა. იგი სამოქალაქო ან ადმინისტრაციული კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს.

პირველი ნაბიჯი, რაც, ჩვენი აზრით, უნდა გადადგას საქართველომ საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის კომპიუტერული დანაშაულის შესახებ ევროპულ კონვენციასთან, ეს უნდა გახდეს მასთან მიერთება და პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაცია, რითაც მოხდება კონვენციისეული ვალდებულებების აღიარება, ხოლო შემდგომ უნდა მოხდეს სათანადო საკანონმდებლო ღონისძიებების გატარება.

კონვენციის საგნის სირთულიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე შეუძლებელია ერთ სტატიაში ჩატარდეს მისი დებულებების და საქართველოს კანონმდებლობაში გასატარებელი ღონისძიებების ყოველმხრივი ანალიზი. ამიტომ ჯერჯერობით ყურადღება დავუთმეთ მხოლოდ მატერიალურ სისხლის სამართლებრივ საკითხებს, ამასთან აქვე აღვნიშნავთ, რომ კონვენცია საჭიროებს დეტალურ კვლევას სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის დარგების სპეციალისტთა მიერ. მისი მნიშვნელობას უდავოდ განუზომელია, რადგან წარმოადგენს პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებას იმ დანაშაულთა შესახებ, რომელთა ჩადენა ხდება ინტერნეტისა და სხვა კომპიუტერული ქსელების საშუალებით. საზღვარგარეთელმა სპეციალისტებმა მას ინტერნეტის სისხლის სამართლის კოდექსიც კი უწოდეს. სტატიაში წამოჭრილი საკითხები, ჩვენი აზრით, სათავეს დაუდებს კონვენციის მთავარი მიზნის მიღწევის ღონისძიებებს საქართველოში. ეს მიზანი კი ისეთი საერთო სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის და სამართლებრივი სტანდარტების შემუშავებაა, რომელიც დაიცავს მსოფლიო საზოგადოებას კომპიუტერული დანაშაულებისაგან შიდა საკანონმდებლო ღონისძიებების გატარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზით.

ლიტერატურა:

1. მ. ცაცანაშვილი. ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება. თბილისი. გამომცემლობა "ტექნიკორმი". 1999.
2. ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1998წ.
3. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, თბილისი, 1998წ.
4. დ. ძამუკაშვილი, რ. შენგელია, დ. გაბუნია, ვ. ხრუსტალი, ს. ჯორბენაძე. "სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარი. თბილისი. 2003წ.
5. კომპიუტერული პროგრამა "კოდექსი" (საქართველოს კანონმდებლობა).
6. В.А. Мазуров. «Компьютерные преступления». Москва. Издательства «Палеотип» и «Логос». 2002 г.
7. Ю.В. Гаврилин «Расследование неправомерного доступа к компьютерной информации». Москва. Издательство «Книжный мир». 2001г.
8. И.М. Рассолов. Право и интернет». Москва. Издательство «Норма». 2003г .
9. «Информатика и математика для юристов». Коллектив авторов. Под редакцией проф. Х.А. Андриашина и проф. С.Я. Казанцева. Москва. Издательство «ЮНИТИ-ДАНА». 2001г.
10. «Правовые аспекты использования Интернет-технологий». Авторский коллектив. Под редакцией А.С. Кемрадж и Д.В. Головерова. Москва. Издательство «Книжный мир». 2002г.
11. С.А. Горшкова. Стандарты Совета Европы по правам человека и российское законодательство. Москва. Издательство «НИМП». 2001г.
12. И.Л. Бачило. Информационное право. Издательство «ЮРИНФОРМЦЕНТР». Издание г-на Тихомирова М.Ю. Москва. 2001г.
13. <http://www.coe.int>.

მიღებულია: 17.06.2003